

გეოვიქტორინა სკოლის მოსწავლეთათვის!

2018 წლის 24 ივნისს

მოსწავლე-ახალგაზრდობის ეროვნული სასახლისა და საქართველოს ალექსანდრე ჯავახიშვილის სახელობის გეოგრაფიული საზოგადოების ორგანიზებით გაიმართება სკოლის მოსწავლეთა „გეოვიქტორინა-2018“, რომელიც ეძღვნება

საქართველოს დამოუკიდებლობის 100 წლის იუბილეს.

გეოვიქტორინაში მონაწილეობის მიღება შეუძლია საქართველოს საჯარო და კერძო სკოლების VIII-XII კლასების მოსწავლეებს. გეოვიქტორინა ტარდება გუნდური პრინციპით.

თითოეულმა სკოლამ **2018 წლის 14 ივნისის 16 :00 საათამდე** უნდა წარმოადგინოს **განაცხადი** გეოვიქტორინაში მონაწილეობის შესახებ.

განაცხადში უნდა იყოს მითითებული: სკოლის სრული სახელწოდება, მისამართი, გეოვიქტორინაში მონაწილე გუნდის სახელი, 5 მოსწავლის სახელი და გვარი (მათ შორის უნდა მიეთითოს გუნდის კაპიტანი). განაცხადი დამოწმებული უნდა იყოს სკოლის დირექტორის ხელმოწერით და ბეჭდით. განაცხადში ასევე უნდა მიეთითოს სკოლის დირექტორის, გუნდის ხელმძღვანელის (პედაგოგის) და კაპიტნის საკონტაქტო ტელეფონი (განაცხადის ნიმუში თან ერთვის). განაცხადის მიღება წარმოებს ელფოსტით, ან მოსწავლე - ახალგაზრდობის ეროვნული სასახლის მისამართზე (საკონტაქტო ინფორმაცია იხილეთ ქვემოთ).

ჯილდოები: გეოვიქტორინაში მონაწილე სკოლების მოსწავლეებს გადაეცემათ მონაწილის სიგელი. გუნდის ხელმძღვანელ პედაგოგებს და სკოლებს მადლობის ფურცელი . გამოვლინდება 3 გამარჯვებული გუნდი, რომლის ყველა მოსწავლესა და პედაგოგს გადაეცემა გამარჯვებულის დიპლომი, ხოლო სკოლას - მადლობის წერილი. გამარჯვებულები დაჯილდოვდებიან სიმბოლური საჩუქრებით. გამარჯვებული გუნდები მიიღებენ საგზურს დასკვნით გეოვიქტორინაში მონაწილეობისთვის, რომელიც გაიმართება წლის ბოლოს.

კონკურსის ჩატარების ადგილი:

ქ. თბილისი, რუსთაველის გამზ. 6, საქართველოს მოსწავლე-ახალგაზრდობის ეროვნული სასახლე, II სართული, „სარკებიანი დარბაზი“.

რეგისტრაციის დრო: 12:00- 12:45. რეგისტრაცია სავალდებულოა.

დაგვიანებული მონაწილეები ღონისძიებაზე არ დაიშვებიან.

კონკურსის დასაწყისი: 13:00.

საკონტაქტო პირები:

მარინა ოზბეთელაშვილი -555 959597, 591 014987, mariozbetelashvili58@gmail.com

ქეთევან მგალობლიშვილი - 555 207 591, gsg.tbi@gmail.com

გეოვიქტორინის საორგანიზაციო კომიტეტი გისურვებთ წარმატებებს!

გ ა ნ ა ც ხ ა დ ი ს კ ო ლ ე ბ ი დ ა ნ

2018 წლის 24 ივნისს ორგანიზებულ გეოვიქტორინაში მონაწილეობის შესახებ

(სკოლის სრული დასახელება და მისამართი)

გამოთქვამს სურვილს მონაწილეობა მიიღოს მოსწავლე-ახალგაზრდობის ეროვნული სასახლის და საქართველოს ალექსანდრე ჯავახიშვილის სახელობის გეოგრაფიული საზოგადოების ეგიდით ორგანიზებულ გეოვიქტორინაში.

სკოლის გუნდის სახელი: _____

(მიუთითეთ თქვენთვის სასურველი სახელი)

გუნდის ხელმძღვანელი (პედაგოგი): _____

(სახელი და გვარი, საკონტაქტო ტელეფონი)

გუნდის მონაწილეები (მიუთითეთ მოსწავლეთა სახელები და გვარები):

1. _____

(გუნდის კაპიტანი და მისი საკონტაქტო ტელეფონი)

2. _____

3. _____

4. _____

5. _____

სკოლის დირექტორის ხელმოწერა:

(მიუთითეთ საკონტაქტო ტელეფონი)

ბეჭედი

თარიღი: _____ 06. 2018